ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 5-23

"24" მარტი 2017 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №9-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის N9-19 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი 25/09/2014 სარეგისტრაციო კოდი 010260020.35.101.016019):

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ";

2. დადგენილების სამართლებრივი საფუძვლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „მ" ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის, 166-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-58 დადგენილების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:"

3. დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დებულების:

ა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. განათლების სფეროში სამსახურის ფუნქციებია:

ა) განათლების სფეროს პროგრამების მომზადება, მართვა და ორგანიზება მუნიციპალურ დონეზე, შესაბამისი ადმინისტრაციული მონიტორინგის განხორციელება;

ბ) მონაწილეობის მიღება განათლების სფეროს პერსპექტიული განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაში, აგრეთვე, ამ სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შემუშავებაში;

გ) საერთაშორისო პროგრამებში მუნიციპალიტეტის ჩართულობის ხელშეწყობა და განათლების სფეროს განვითარებისათვის არასაბიუჯეტო სახსრების (გრანტების და სხვა სახსრების) მოზიდვა;

დ) დედაქალაქში სკოლამდელი განათლების განვითარების ხელშეწყობა და შესაბამისი წინადადებების მომზადება;

ე)დედაქალაქში სკოლისგარეშე, ზოგადი განათლების, პროფესიული და ზრდასრულთა განათლების, უწყვეტი განათლების განვითარების ხელშეწყობა, შესაბამისი ღონისძიებების, პროექტებისა და პროგრამების განხორციელება, ამ მიზნით თანამშრომლობის გაღრმავება ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ვ)წარმატებული სტუდენტების წახალისება და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დედაქალქში რეგისტრირებული სტუდენტებისთვის;

ზ) განათლების სფეროში დამეგობრებული და აგრეთვე სხვა ქალაქების შესაბამის სამსახურებთან ერთად თანამშრომლობის კოორდინაცია, არსებული ურთიერთობის განვითარების ხელშეწყობა და ახალი ურთიერთობების დამყარება;

თ)ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სფეროს ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნა და განვითარება;

ი)განათლებაში ჯანსაღი კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის და შესაბამისი პროფილის კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობისათვის ზრუნვა;

კ)მსოფლიოს ქალაქებსა და დედაქალაქებთან განათლების საკითხების თანამშრომლობის სფეროში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის კავშირების განვითარებისათვის წინადადებების მომზადება; განათლების საკითხებთან მიმართებაშიქვეყნის საზღვრებსგარეთ ჩატარებულ ღონისძიებებზე შესაბამისი პირების მივლინებისა და სტაჟირების უზრუნველყოფა. საზღვარგარეთიდან სპეციალისტების მოწვევა განათლების სფეროში მოღვაწე ადგილობრივი სპეციალისტების კვალიფიკაციის

ასამაღლებლად, გამოცდილების გასაზიარებლად, კონფერენციების, სემინარებისა და მასტერ-კლასების მოსაწყობად; გაცვლითი პროგრამების, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მხარდაჭერა განათლების სფეროს სპეციალისტებისათვის და სტუდენტებისათვის;

ლ)ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, როგორც საგანმანათლებლო ცენტრის პოპულარიზაცია საერთაშორისო კონფერენციების, სიმპოზიუმების, სემინარებისა და ფორუმების განხორციელების ხელშეწყობა;

მ)ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მოქმედი საჯარო და კერძო უმაღლესი, პროფესიული და ზრდასრულთა საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებისა და საქმიანობის ხელშეწყობა;

ნ)პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავებაში და განხორციელებაში მონაწილეობა, ადგილობრივი და საზღვარგარეთ სტაჟირების პროგრამების განხორციელება;

ო) საქართველოს კანონმდებლობითა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებათ განხორციელება."

ბ) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„3. სამსახურის უფროსის მოადგილეებს შორის საკურატორო სტრუქტურული ქვედანაყოფები განისაზღვრება სამსახურის უფროსის ბრძანებით."

გ) ამოღებულ იქნას მე- 4 მუხლის მე-4 პუნქტი;

დ) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ[1]" ქვეპუნქტი :

„ვ[1])პასუხისმგებელია სამსახურში შესაბამის განყოფილებაში შემოსული კორესპოდენციის მომზადებაზე, სისწორეზე და მისი შინაარსობრივი ნაწილის მიზანშეწონილობაზე."

ე)მე-7 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ" და „თ" ქვეპუნქტები:

„ზ) სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ გაწეული სამუშაოებისა და დაგეგმილი საბიუჯეტო ხარჯების გეგმიური შესრულების ანალიზი და ახალი წინადადებების მომზადება;

თ) სამსახურის მიერ დაგეგემილი შესყიდვების გეგმის შესაბამისად სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ერთად სატენდერო ტექნიკური დავალებების მომზადება".

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი